სამშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 8 № 188
წელიწადი მეოთხე

სამშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 8 №
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა.

ბულგარეთის რევოლიუციონური ჯარი სოფიას უახლოვდება.

ფრანცეზმა რეიმსი განთავისუფლეს.

გერმანიაში მონარქიული პრინციპის ნაცვლად შემოღებულ იქმნა წმინდა პარლამენტარული პრინციპი.

თბილ. კომიტეტი აცხადებს,
რომ ლოტარიის წიგნაკი № 35 (851—875) რომელიც ჩაბარებული იყო კომიტეტის მიერ ბ-ნ ტ. გოგიტიძესთვის, დაკარგულა.. ყველა ბილეთები, რომელიც ხელმოუწერელი იქნება ბ-ნ გოგიტიძეს მიერ ყალბათ ჩაითვლება.
(1026)

თბილ. კომიტეტი აცხადებს,
რომ ლოტარიის წიგნაკი № 21 (501—5251) რომელიც კომიტეტის მიერ გადაცემული იყო კალისტრატე ბერიძესთვის ბილეთების გასასყიდათ, დაკარგულა. ამ წიგნაკიდან ყალბათ ჩაითვლება შემდეგი №№ 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524.
(1026)

სამხატვრო სტუდია
„ლადია არგონავტოვ“
გოლოვინის პროსპექტი 10. სეზონი 1918—19 წ.
სამშაბათს 8 და ოთხშაბათს 9 ოქტომბერს. ახალი პროგრამმა მე-8 ციკლის.
1. სტატისტიკა. შარჟი ე. ვოიტკევიჩის, შესრ. ე. აფანასიევა-გალიჩი, ს. ი. ლიახოვი.
2. ინტიმიური სიმღერები. შესრ. ი. ი. ასკოლდოვი.
3. ისპანიური ტრაგიული სიმღერა სიტ. და მუს. ს. კორონასი, შესრ. მ. ი. ხევანოვა-ზელიონაია.
4. „მკვდრეთით ამდგარი ბოკაჩიო“ ფრესკა მუს. ზენესი ტექსტი ვ. ნ. ცედერბაუმის შესრ. ბურაგი, ცესანოვსკაია, ს. ტ. ამხარუმოვა, მ. ი. ხევანოვა-ზელიონაია, ნ. ნ. ელენინი, შ. შიხმანი, ა. ა. ლიუბომირსკი, თ. ა. მირტოვი.
5. „Pael Mael“ ანეკდოტებიდან, შეას. დრამის არტისტი ბ. ***
6. „ვაკხანალია“ მუს. სენ-სანსის, შეასრულებს არტისტკა ბალეტის ქ-ნი ***
7. „ჰიმნი არგონავტების“ შესრ. ბ. ***
ორკესტრს ხელმძღვანელობს თ. ს. კაცი, მონაწ. ზ. ა. გესსი, ნ. ს. ზენდიცკი.
დასაწყისი საღ. 8 ს. — შესავალი ბილეთი მაგიდაზე ადგილის დაჯ. 14 მ.
კასა გაღებულია 7 საათამდე.
2—1

სახელმწ. ოპ. თეატრი
საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია [illegible]
შაბათს, ღვინობისთვის 8-ს, დაიდგმის
სამეფო სარძლო
(Царская невѣста)
ოპერა 4 მოქმედებად. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვ. ლევიცკისა, იანსა და მოროზოვისა. ბ-ნნი ბერეზინი, მოლჩანოვი, პალიაევი, ნიკოლსკი და დემიანენკო.
დირიჟორი ჩერეპინი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ოთხშაბათს, 9—ოქტ., „რიგოლეტო“ ხუთშაბათს 10—ოქტ., „დუბროვსკი“ პარასკევს 11 ოქტ., „პიკოვაია დამა“.

სახალხო განათლების სამინისტრო
ამით აცხადებს, თბილისის ვაჟთა და ქალთა კერძო საშუალო სასწავლებელთა ქართველ მოწაფეების და მათი მშობლების საყურადღებოდ, რომ ასეთ მოწაფეებს ნება ეძლევათ **უეგზამენოდ** შევიდნენ მთავრობის ქართულ სასწავლებელთა სათანადო კლასებში.
(1—1024—1)

გერმანია-საქართველოს მეგობრობისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ რუსეთის დაშლაზე აღმოცენდებოდა. ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყო მარტოოდენ ომის პროცესში. დღევანდელ მებრძოლ სახელმწიფოთა დაპირისპირებამ საქართველოს განთავისუფლების საწინდარი გერმანიის გამარჯვებაში ჩაჰფლა. ეს არ იყო სანტიმენტზე აგებული ანგარიში; არც ჩვენი კარგი თვალების გულისათვის იქმოდა ამას გერმანია, არც ჰეინესადმი სიყვარული გადახრიდა საქართველოს გერმანიისკენ. აქ ერთმანეთს შემოხვდა ორი ერის გარდუვალი კანონი და მათი არსებობის მიზანი და აზრი: დიდი გერმანიის უზენაესი ნებისყოფა: მტრის დამარცხება და თავის გადარჩენა ძლევა-მოსილობისა და ღრმა შემოქმედების პათოსით გამოუცნობ მომავალის გზა-ხვეულებში. პატარა საქართველოს უკვდავების დღესასწაული და ამ უკვდავების მარადიული მოთხოვნა—დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ გზა-ჯვარედინზე უნდა გაჰქედილიყო ჩვენი და გერმანიის მეგობრობა. ეს იყო ობიექტიური გარემოების დიდი ბრძანება. თუ გერმანიის და საქართველოს ბედი იბედებდა, საქართველოს და გერმანიის იმედები უნდა აღსრულებულიყვნენ, ჩვენი იმედი აღსრულდებოდა—როგორც აუცილებელი შედეგი რუსეთზედ გერმანიის გამარჯვებისა. საქართველოს განათებული ეროვნული პოლიტიკა ამ ომის გარემოებაში სხვა მიდრეკილებას ვერ მიიღებდა. ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეიდან გამოვიდოდა, ის რუსეთის დაშლის საჭიროებამდე მივიდოდა, მაშასადამე რუსეთზე გერმანიის გამარჯვებამდეც.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური სიმპატია და ორიენტაცია იყო ერთად-ერთი: სიმპატია გერმანიის მხედრობისადმი, ორიენტაცია გერმანიისკენ. ჩვენი ტაქტისა და სიმწიფის საქმე იყო, ეს სიმპატია იმდენად გამოგვემჟღავნებინა და ეს ორიენტაცია იმდენად გვეწამებინა, რომ საქართველოს ნაადრევი ზიანი თავს არ დასტეხოდა იმ ხიფათით და საფრთხით გატენილ გარემოებაში, რომელშიაც იგი ცხოვრობდა, ვიდრე რუსეთი ჯერ კიდევ თავის კანჭებზე იდგა და მისი იარაღის პირველი სიძლიერე ჯერ კიდევ გაწბილებული არ იყო.

მადლობა ღმერთს, ამ მხრივ შეცდომა არ მოგვსვლია. პარტიულად იმთავითვე გერმანული ორიენტაცია მივიღეთ, ავირჩიეთ ის გზა, რასაც საქართველოს განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. ჩვენი პოლიტიკური მეგობრები გერმანიის მთავრობასთან დიდის ენერგიით და თავდადებით მუშაობდნენ. მათი ნამუშევარი დღესაც გზათ და ხიდათ გვხვდება. ეს ჩვენი პარტიული პოლიტიკა, ამ წლის მაისიდან მთელი საქართველოს ეროვნულ პოლიტიკად გადაიქცა.

საქართველოს მთავრობა შეუდგა გერმანიასთან ოფიციალურ მეგობრობის ჩამოგდებას და ამ ნიადაგზე საქართველოს და გერმანიის შორის მყარდება განსაზღვრული ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა. ცხოვრებამ ჩვენი პროგნოზი გაამართლა. გერმანიის რუსეთზე გამარჯვებამ რუსეთი დაშალა და რუსეთის ამ დაშლის ნიადაგზე სხვა ერების დამოუკიდებლობათა შორის, საქართველოს დამოუკიდებლობაც აღმოიზარდა; ამ დამოუკიდებლობის გამაგრება დღეს გერმანიის თანამშრომლობით მიმდინარეობს.

პროცესი მხოლოდ იწყება. რეალური ფესვები აქვს გერმანია-საქართველოს ერთად სიარულს მომავალში. ორი ქვეყნის ცოცხალი ინტერესი მოითხოვს ამას. გერმანიის ფართო პოლიტიკისათვის საქართველო საჭიროა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესისთვის საჭიროა გერმანია. გერმანია-საქართველოს მტრები ებრძვიან ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობას და მეგობრობა-დაკავშირებას. ეს მტრები სხედან ჩვენს დედა-ქალაქში, ეს მტრები სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკაში. ისინი სწერენ, მოქმედებენ. ეს ხდება ყველას გასაგებად, ეს ხდება ყველასი და მთავრობის ცხვირის წინ. ოფიციალური საქართველო გერმანიასთან ოფიციალურ დაკავშირების პირობებს იმუშავებს; მისი დელეგაცია დღესაც ბერლინშია; ამავე დროს კი ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები, რომელნიც შემოკრებილან სხვა და სხვა რუსულ გაზეთების გარშემო, ფარულად თუ ცხადად ჰქირდავენ ამ მეგობრობას, დამღუპველად ასაღებენ ამ დაკავშირებას, ვითომდა საქართველოს ინტერესისათვის, მთავრობას ფართო საზოგადოებასთან აბეზღებენ, სახელს უტეხავენ და ხალხს უჯანყებენ... საქართველოს მიმდინარე ეროვნულ პოლიტიკას, საქართველოს მტრები ჩვენს თვალ-წინ აბათილებენ და მთავრობა ამას უძლური ბავშვივით შეჰყურებს.

ჩვენ მოვითხოვთ, მთავრობამ მიმმართოს უუსასტიკეს ზომებს, რომელიც მის განკარგულებაშია და ბოლო მოუღოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და გერმანია-საქართველოს მეგობრულ დაკავშირების მტრების პარპაშს.

დიდი რეალური ინტერესების შეხვედრით წარმოშობილ მეგობრობას და შექმნილ კავშირს მოსდგამს დიდი შედეგი და მოქმედების ხანგრძლივობა. ასეთ განწყობილებას დაცვა უნდა. ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესი და ოფიციალური მეგობრობაც. საქართველოს მთავრობა მოვალეა ამას ემსახუროს მთელის თავის აპარატით.

სპირიდონ კედია.

უხამსი ქართველი

ძველ რომში ტრიუმფატორებს უსათუოდ ერთი ისეთი ადამიანიც მისდევდა უკან, რომლის მოვალეობა ამ ტრიუმფატორის ნაკლის აღნუსხვა იყო.

საერთო ქება-დიდების დროს, რომლითაც იყო მოცული პროცესია ტრიუმფატორისა, სიმღერებისა და საკრავის ხმებთან ერთად გაისმოდა ხმა კილვისა და ძრახვისა და ამაში იყო ერთგვარი აზრი.

— ნუ იფიქრებს ნურავინ, თვით ტრიუმფატორიც, რომ ქვეყნად ვინმე უნაკლო იყოს!

ჩემის აზრით, ასეთი ჩვეულება დიდი სიჭკვიანე იყო და ამ მხრივ ყველანაირი ზოილები და ტერსიტები ასატანი და იქნება საჭიროც არიან.

მაგრამ ძველ რომში ასეთ შრომისთვის ისინი გასამრჯელოს არ იღებდნენ. საქართველოს ჯერ ტრიუმფი არ ჰქონია, თუმცა ცეცხლის ეტლზე ზის და ეს ეტლი მას სადღაც მიაქანებს. ჩვენ, რასაკვირველია გვრწამს, რომ მივდივართ თავისუფლებისაკენ და თუ მივაღწიეთ მას, ჩვენი ტრიუმფიც ეს იქნება.

მაგრამ, აი, არის ადამიანი, რომელიც ღმერთმა ორჯელ დასწყევლა—ერთხელ მით, რომ ის ქართველია, მეორედ მით, რომ ის მწერალია, მისდევს ამ ეტლს და ილანძღება, ილანძღება ისე, როგორც შეუძლიან ლანძღვა შურს, ბოროტებას, უპატიოსნებას და დარწმუნებულია, რომ აკეთებს პატიოსან საქმეს, აღვიძებს საქართველოს სინიდისს, ასპეტაკებს მის ზნეობას.

და ყველა ამისთვის ის იღებს გასამრჯელოს.

იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს საქართველო თავისუფლებისათვის —მას ბინძური მტერი არ ჰყოლია. ოსმალეთსაც, რომელმაც ჩამოაცალა მას ბათომი და ჯავახეთი, და რუს-ბოლშევიკსაც, რომელიც „იდეისთვის“ იბრძოდა, ყველას ბრძოლის იარაღათ რკინა და ფოლადი ჰქონდათ. რკინაც და ფოლადიც კეთილშობილ ლითონს ეკუთვნიან.

მაგრამ საქართველოს ჰყავს ბევრი უხამსი ქართველი, რომლებიც რკინისა და ფოლადის მაგივრად ღვარძლითა და უპატიოსნობით იბრძვიან მის წინააღმდეგ და ერთი ასეთი უხამსი ქართველთაგანი უსათუოდ ლევან ყიფიანიც არის.

როდესაც შემდეგში ჩვენი ბავშვები იკითხავენ ვინ იყო განსაცდელის დროს საქართველოს გმირი და მოღალატე, მათ ალბათ ეტყვიან:

— „ძვირფასნო, საქართველო დამარცხდა ბრძოლის ველზე, მაგრამ მას მოღალატე არ ჰყოლია. იყო ერთი ლევან ყიფიანი, რომელიც არა ქართველის ფულით და არა ქართულ ქაღალდზე ლანძღავდა საქართველოს და ამხედრებდა მის წინააღმდეგ ხალხს. ქართველებმა ის დასაჯეს მით, რომ არც ერთი პატიოსანი ქართველი მას თავს არ უკრავდა“.—

აი რა უნდა უთხრათ შემდეგში ჩვენ ბავშვებს და ჩემის აზრით ეს იქნება ერთი გულის ამრევ ამბავთაგანი, რომელიც დაგვახსომდება ჩვენ საამბობათ.

მე მგონია, საქართველოში, სადაც ამდენი ფრონტიდან გამოქცეული სალდათია ამ ჟამად, სადაც იმდენი სპეკულიანტი და სინდისით მოვაჭრე ქართველი და არა ქართველია, სადაც ამდენი დროებითი და გარდამავალი სიბინძურეა, ლევან ყიფიანი მაინც ყველაზე საცოდავი ფიგურაა.

საქართველოში იგი იძულებულია რუსულად სწერდეს და სომხურად იღებდეს.

განა ეს სირცხვილი არ არის! სირცხვილია, რადგანაც, გაზეთები სადაც ის ილანძღება, არც ერთი ქართული არ არის, არც ერთი ქართველის ფულით არ გამოდის.

ნამდვილად კი რა ძვირფას და საყვარელ გვარს ატარებს ეს ადამიანი. რამდენი იყო საქართველოში კეთილშობილი ყიფიანი, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს და არა ქართულის ფულით სადილი არ უჭამიათ.

შ. ამირეჯიბი.

პრესსა

ვ. შულგინი სოჭის ოლქის შესახებ.

ეკატერინოდარში გამოდის გაზეთი „როსსია“. 14—27 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ვ. შულგინის წერილი, რომლიდანაც მოგვყავს ადგილები:

„ჩვენთან მოვიდა საქართველოს ერის წარმომადგენელი, ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ე. პ. გეგეჭკორი. საქმე შეეხებოდა სოჭის ოლქს. საქართველოს წარმომადგენლებმა იცნეს, რომ სოჭის ოლქი არ შეიძლება იქნას განხილული, როგორც საქართველოს ნაწილი. პირველად იმიტომ, რომ იქ ქართველები ქართველებისვე ანგარიშით 22 პროცენტია (რუსული ანგარიშით, რომელიც ეკუთვნის ცნობილ მცოდნეს შავი ზღვის გუბერნიისას ბ. ვორობიოვს, ბევრჯერ ნაკლები). მეორე, რომ სოჭის ოლქში რუსები ქართველებისვე ანგარიშით შეადგენს 34 პროც. ამასთან ისინი შეადგენენ თუ აბსოლიუტურს არა, შედარებით მაინც უმრავლესობას მცხოვრებთა. მესამე, რომ სოჭის ოლქში დახარჯულია ბევრი რუსის ფული და შრომა, მარტო გაგრაზე, სულ ნაკლები, დახარჯულია 10 მილიონი (იანგარიშე ეხლა 100 მილ.). რკინის გზა და დადებული შოსე, მაწესტინის კურორტი და ბევრი სხვა. ყველაფერი ეს წაერთვა დანარჩენ რუსეთის ნაწილებს და ამ ფულებს ვინ დააბრუნებს!.. საქართველოს წარმომადგენლებმა ყველაფერი ეს იცნეს, მაგრამ მაინც დაჟინებით ამბობდენ, რომ სოჭის ოლქი დაიკავა ქართველმა რაზმმა და უნდა დარჩეს ქართველების მფლობელობაში, სანამ არ გადაწყდება მომავალ რუსეთის მთავრობისაგან. რატომ? თუ მოხალისეთა არმიას და ყუბანის მთავრობას არ ჰქონდა უფლება საქართველოს და მომავალ რუსეთის საზღვრების გამორკვევის, რატომ ჩამოვიდნენ მაშინ ეკატერინოდარში? რატომ არ გამოსცემენ საზღვრების დეკრეტს თბილისში დამჯდარი და რატომ არ უნდა გავიდეს ეს ხაზი ტამანამდი და ან სადაც მოეპრიანებათ?..

როცა ამ პოზიციიდან ე. გეგეჭკორი გადმოაგდეს, მას დარჩა ერთი არგუმენტი: „თქვენი, რუსების წინ ისეთი დიდი საქმეებია, რომ თქვენთვის სოჭის ოლქს არ აქვს იმდენი მნიშვნელობა. რატომ არ გინდათ ამ საკითხში იყოთ დამთმობი?..

წმიდა ქალური არგუმენტია. სადაც არ არის სასარგებლო „სწორუფლებიანობა“ იქ ძველი არგუმენტია—განა შეიძლება ჩვენი შედარება? თქვენ ასე
დიდი ხართ, ძლიერი, ჩვენ კი ა
სუსტი და ულონო არსება.
დაგვითმეთ ზრდილობისთვის...“
თუ ეს ამბავი, რაც ამ წერილ
აწერილი დისაჯერებელია, მაშინ
სნელია ბ. ე. გეგეჭკორის მიერ საქ
თველოს უფლებების დაცვა, როცა
ქართველოს საზღვრების დაცვას
გამაგრებას უკავშირებს იმას, რ
რუსებს დიდი საქმე აქვთ წინ და
და იყონ დამთმობიო; ჩვენ ეს გვე
ფება. სამაგიეროდ არ არის საე
რომ ყუბანში დაბუდებული რუსეთ
ნაციონალისტები, რომელთაც ჩ
კარგად ვიცნობდით უწინ, რაღაც ს
წაულით კიდევ ცოცხლდებიან და კ
ნიერათ იმუქრებიან, მაგრამ ჯერ ა
რეა მათი სიხარული, ზოგი რამ ბო
შევიკებსაც ჰკითხონ. ყოველ შემთხვ
ვაში ჯერ ფაქტია, რომ სოჭის ოლ
ქართველმა ლაშქარმა დაიკავა, რა
საგულისხმოა. არ ვიცი რა მოხდა ის
თი, რომ ვ. შულგინს ქართველები ქ
ლათ მოეჩვენა.
ამდენხანს ჩვენ თვითონ რუსებ
გვარწმუნებდენ, რომ მათში და საზო
გადოთ სლოვიანებში ქალური ელემენ
ტი სჭარბობს. იქნებ ახალ „სოვდეპი
აში“ დაიბადა ახალი ტიპი მამაკაცუ
რი „ნ-ნ“-ების, მაგრამ აქ შულგინ
რა შუაშია და საქართველო უფრო.

* *

აწყური და აბასთუმანი.

სტამბოლის პრესსა ბოლოს დროს მეტისმეტად მტრულად უყურებს საქართველოს. რაშია ჩვენი დანაშაული? ოსმალო იმპერიალისტები უდიდეს დანაშაულად იმას გვითვლიან, რომ უსიტყვოთ არ ვემორჩილებით მათ ზრახვებს და ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიის ინტეგრიტეტს ვიცავთ. „ლე ჟურნული დორიენტ“-ში მოთავსებულია ევმერ ფაიკ-მეის დეკლარაცია, რომელიც აბასთუმანისა და აწყურის საკითხს შეეხება. ევმერ ფაიკ ბეი წინათ თბილისში ჰუმორისტულ ჟურნალის „მოლლა ნასრადინს“ სცემდა, ახლა კონსტანტინოპოლში მოქმედობს როგორც ადერბეიჯანის დელეგატი.

„მე უნდა განვაცხადო, ამბობს ევმერ ფაიკ ბეი, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავსთმობთ არც აბასთუმანს და არც აწყურს: ორივე ადგილი ახალციხის სანჯაყის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენენ და ჩვენ სუნთქვაც კი გაგვიჭირდება, თუ ამ პუნქტებზე ხელი ავიღეთ. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, თითქო ეს ორი ნაჭერი საქართველოს ისტორიულ საზღვრებში იმყოფებოდეს და მისთვის საჭირო იყოს სტრატეგიული თვალსაზრისით. მე მგონია, რომ ეს საბუთი დაჰკარგავს ყოველს ძალას(?!) თუ ვიტყვი, რომ ორივე ადგილი დასახლებულია მაჰმადიანების მიერ და მათი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენი სანჯაყისთვის ისეთია, რომ ჩვენ გვირჩევნია უკიდურეს საშუალებას მივმართოთ, ვიდრე დათმობის გზას დავადგეთ... ქართველები კარგად უნდა დაფიქრდნენ, სანამ რაიმე ავანტიურაში ჩაებმებოდნენ...“

ასეთი ენერგიული სტილით ლაპარაკობენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის ოფიციალური და არაოფიციალური ელემენტები სტამბოლში. თბილისში კი იმავე ადერბეიჯანის და ოსმალეთის დიპლომატები ქათინაურებს გვიძღვნიან და მეგობრობას გვპირდებიან. შეიძლება ასეთი ორპირობა საერთოდ დიპლომატიური გონიერების მაჩვენებელი იყოს, მაგრამ არ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში გამოადგეს ჩვენს მეზობლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის სამინისტროში

საგანგებო სასამართლოები

საგანგებო სასამართლოები მოქმედებას ამ დღეებში დაიწყებენ. თბილისის გუბერნიის ტერიტორიისათვის დაწესებულია ერთი სასამართლო თბილისის რევოლიუციონურ ტრიბუნალის ყოფილ სადგომში. ამ სასამართლოში გასარჩევად უკვე 20 ახალი საქმე შევიდა.

მომრიგებელ-მოსამართლეთა კომპეტენციის გაფართოება

...ციის სამინისტრომ მთავრო-...ტანა კანონ-პროექტი მომრი-...სამართლეთა კომპეტენციის ...ების შესახებ. უკანასკნელთ ...უფლება გაარჩიონ სამოქა-...სისხლის სამართლის საქ-...მატერიალ ინტერესებისა რომ-...წესდება 4.000 მ. მოქმედ კანო-...რ დადგენილ ნორმის 2.000 მ. ...ბ, ხოლო ქურდობისა და ავა-...სთვის 2,000 მ. ნაცვლად 300 ...სა.

რძოლ სახელმწიფოშორის დროებითი ზავი

კანასკნელ საათში რედაქციას ვიდა ცნობა, რომ გერმანიამ შე-...ნარა ვილსონის საზავო წინადა-...ბა და მებრძოლ სახელმწიფოთა ...რის დროებითი ზავი ჩამოვარდა. ... ცნობა, რედაქციის მიერ რამოდე-...მე ავტორიტეტულ წყაროების შე-...თხვით მართლდება. ჯერ-ჯერობით ...მეუმოწმებელია, აგრეთვე მიღებული ცნობა რომ საერთაშორისო საზავო კონფერენცია დანიშნულია ჰოლანდიის დედოფალის ვილგელმინას სახლში.

ქრონიკა

◆ **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ლექციების კითხვა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ყველა დარგებში დაიწყება 10 ოქტომბერს. დანარჩენ ფაკულტეტებზე ახლო მომავალში დაიწყება ლექციების კითხვა და ცალკე გამოცხადდება გაზეთებში.

◆ **ნინოშვილის ქრისტინე სინემატოგრაფის ეკრანზე.** გერმანე გოგიტიძემ სინემატოგრაფის ლენტზე გადაიღებინა ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“. ამ დღეებში მოთხრობას თბილისის კინემატოგრაფებში აჩვენებენ.

◆ **ელენე თარხან-მოურავის პროფესიონალურ სკოლებში** გორსა, ხაშურსა და ახალ-ქალაქში მეცადინეობა დაიწყობა 1 ღვინობისთვის ძველი სტილით, ხოლო მოწაფეთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე.

◆ **თბილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის** პირველ გაეროვნებულ კლასში თხოვნების მიღება გაგრძელებულია. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე, № 20.

◆ **სვანეთის ოქროს აღმომჩენი ექსპედიცია.** ფინანსთა მინისტრის გ. ჟურულის განკარგულებით სამთო მართველობა სასწრაფოდ ჰგზავნის სვანეთში ოქროს აღმომჩენ ექსპედიციას სამთო ინჟ. ლ. კოლუშევსკის თავ. დადეშქელიანის ინჟ. ტულპონოვის ხელმძღვანელობით.

◆ **გაზეთის დახურვა.** შაბათს, ღვინობისთვის 5-ს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „სვობოდნოე სლოვო“, მის ნაცვლად „ნოვოე სლოვო“ გამოვიდა.

◆ **რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ-ეკონომიურ საზოგადოების** გამგეობა იუწყება, რომ ღვინობისთვის 13-ს სახალხო სახლში გაიმართება „რაჭული დილა“

◆ **სასულიერო წოდება და სახელმწიფო სამსახური.** საქათალიკოსო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა საეკლესიო მსახურთ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამსახურში შესვლის უფლება მიენიჭოთ.

◆ **მოხელეთა კავშირის საბჭოს** პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს საბჭოს ყველა წევრს, უსათუოდ დაესწრონ დღევანდელ საბჭოს სხდომაზე, საღ. 7 ს.

◆ **ქალაქის საბჭოში.** გუშინწინ სოც.-დემ. (მენშევიკები) ფრაქციამ იმსჯელა რა ქალაქის გამგეობის წევრთა მიერ თავის რწმუნებულობის მოხსნაზე, საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო სპეკულიაციასთან მებრძოლ საგანგებო რაზმის არსებობა და მიიღო ქალაქის თავის და გამგეობის წევრთა გადადგომა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

ომი

5 ღვინობისთვის ცნობა

ბერლინი. ღვინობისთვის 5. სამხედრო ცნობა. **კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი.** ფლანდრიაში ხოოგლიდესთან და როზელერთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენ ახალ პოზიციების წინ არმანტიერის აღმოსავლეთით მტერი მოჰყვა ბუა—გრეთიერ—ფურნ ვინგლს. ეს გზა ლენსის ახლოა. კამბრესთან საარტილერიო მოქმედებაა.

ბოინის ლაშქარი. ინგლისელებმა თვისი იერიშები განაცხოველეს ლე-კატელეს ორივე მხარეს. მათ აიღეს ლე-კატელე. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები ჩვენ დავიჭირეთ. სენ-კანტენის ჩრდილოეთით სენ-ჟებარტის და მორკურტის შუა ფრანგებმა იერიშები მოიტანეს. ლესდენში და მორკურტში ფრანგები განმტკიცდნენ.

ჰალვიცის ლაშქარი. ფრანგ-იტალიელებმა განაახლეს იერიშები შემენდე-დამის კალთებზე ელეტის და ენის შუა. შლეზვიგ-ჰოლშტინის და ვიურტემბურგის პოლკებმა მტრის იერიშები მოიგერიეს. მდ. ენის და არნის ასპარეზზე მზვერავთა მოქმედება მეტად განცხოველდა. რეიმსის აღმოსავლეთით ჩვენ გავწმინდეთ მოწინავე ხაზები პრიუნეს და სენ-მარნის-ა-პის შუა.

ბალკანეთის ასპარეზი. ალბანეთში სამხედრო მოქმედებანი არ არის. ვრონისთან სერბნი ჩვენს მოწინავე რაზმებს წააწყდნენ.

პარლამენტარიზმის პრინციპი გერმანეთში

ტრანსოკეანის პრესსა. ღვინობისთვის 4. „გერმანეთი“ სწერს, მას შემდეგ რაც იმპერატორმა გამოსცა დეკრეტი გრაფ ჰერტლინგის სახელზე, მართველობის წმინდა მონარქიულ პრინციპმა ადგილი დაუთმო პარლამენტარულს, მემარცხენენი დგანან გულისწადილისა და პასუხისგებლობის წინაშე. ს. დ. პარტიის ხელმძღვანელი გაზეთი „ფორვერცი“ სწერს, რომ გერმანეთს და კერძოდ დემოკრატიულ პარტიას ბრწყინვალე დღეები გაუთენდა. ბურჟუაზიის პარტიებთან შეთანხმებისგან გამოწვეულ საყვედურზე „ფორვერცი“ უპასუხებს, რომ ს. დ. და საზოგადოების დღევანდელ წყობილების შორის ანტაგონიზმი ისევ იარსებებს.

გერმანია მზად არის მიიღოს ზავის პირობები. ბულგარეთის რევოლიუციონური ჯარი სოფიას უახლოვდება

ბერლინი. ღვინობისთვის 4. ბულგარეთში სამოქალაქო ომი თანდათან ძლიერდება. რევოლიუციონური ჯარები მიდიან სოფიაზე. გერმანული მთავრობა ჰსთანხმდება ზავზე თანახმად ვილსონის პირობებისა. ზავის ნოტა წარგზავნეს ბერნს.

ჰუნგრეთის რაიჰსტაგი ზავის შესახებ

ვენა. ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა ვეკერლემ განაცხადა, რომ მთავრობა გაიმეორებს თავის წინადადებას საზავო მოლაპარაკების დაწყობაზედ. რაიხსტაგის სოც. დ. ფრაქციამ შეიმუშავა საზოგადო ზავის პირობები; იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს საზავო მოლაპარაკების დაწყობას.

ზავის რეზოლუცია ამერიკაში

ჰამბურგი. ღვინობისთვის 4. ჩიკაგოს ამერიკულ სოციალისტურ მთავრობამ მიიღო ზავის რეზოლუცია.

ახალი სამინისტრო გერმანეთში.

ბერლინი. ღვინობისთვის 4. (იმპერატორ ვილჰელმის სასწრაფო რესკრიპტი). გექსი პრინცი ბადენისა ინიშნება რაიხსკანცლერად და გარეშე საქმეთა მინისტრად. უპორტფელო სტატს-მდივნად შეიდემანი. 8 ან 9 ღვინობისთვის შეიკრიბება რაიჰსტაგის პლენუმი. ავსტრია-ჰუნგრეთის. რაიჰსტაგში მღელვარე სცენებია. ეროვნული შუღლი იზრდება. ჰუსარეკმა ჩეხებს უსაყვედურა სახელმწიფოს ღალატი.

რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ

სტოკჰოლმი. ღვინობისთვის 2. რევოლუციონერთა წინააღმდეგ რეპრესიები გრძელდება, უკვე გარჩეულია 60.000 მუშათა საქმე.

ინდოეთის ამბოხება.

ქრისტიანია. ღვინობისთვის 3. ინდოეთში ამბოხება ძლიერდება. ეკროსი გახშირდა. პენდან აჯანყება ბულგარიაში ჩაქნთო. კალკუტაში მოხდა დემონსტრაცია. პოლიციამ მათ სროლა აუტეხა.

ავადმყოფობანი უკრაინაში

კიევი. ღვინობისთვის 3. უკრაინაში აზიურ ხოლერის ეპიდემიამ თავი იჩინა. ძალიან გახშირდა ესპანური ავადმყოფობაც. ოდესაში 25.000 ავადმყოფია.

ადმირალ რამიცის დანიშვნა.

ნიკოლაევი ოქტომბრის 4. (გერმანული რადიო) „კიევსკაია მისლ“ იტყობინება, რომ საზღვაო მინისტრის თანამდებობაზე ინიშნება ადმირალი რამიცი.

გენ. ბრუსილოვის განთავისუფლება.

ნიკოლაევი ოქტომბრის 4. (გერმანული რადიო) გენერალი ბრუსილოვი გაანთავისუფლეს საპყრობილიდან. ტროცკიმ წინადადებით მოჰმართა მას და სთხოვა ჩეხო-სლოვაკების წინააღმდეგ მომყოლ საბჭოთა ჯარების სარდლობა. ბრუსილოვმა უპასუხა, რომ იგი არას დროს არ წავა სლოვიანთა წინააღმდეგ, მხოლოდ თუ გარეშე მტერი დაემუქრება მის სამშობლოს, იგი მზად არის იკისროს ეს მოვალეობა.

გერმანიაში

ბერლინი, ოქტომბრის 4. სამინისტრო უმრავლესობისაგან სდგება. პრინცმა მაქსმა პარტიათა წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამმა, რომელიც „ფოსსიშე-ცაიტუნგის“ ცნობით რამდენიმე მუხლით აღემატება უმრავლესობათა პარტიის პროგრამმის მინიმუმს. მოლაპარაკება სრული შეთანხმებით დამთავრდა. მემარცხენეთა პარტია ჰფიქრობს, რომ ახალ მთავრობის პროგრამმა მშვიდობიანობას და ხალხთა შერიგებას გამოიწვევს ევროპაში. სოც.-დემოკრატიული ორგანო „ფორვერტს“-ი აღნიშნავს პროგრამას ამგვარად: ახალ მთავრობის დანიშნულებას შეადგენს დაუბრუნოს მთელს ქვეყანას და გერმანიის ხალხს მშვიდობიანობა. ეს მშვიდობიანობა უნდა იყვეს ხანგრძლივი, მტკიცე, უნდა ემყარებოდეს ხალხთა კავშირს და ხელი უნდა შეუწყოს საერთო იარაღის დაყრას. ამ ზავმა და მშვიდობიანობამ უნდა უზრუნველჰყოს პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება და ზავის შეკვრის შემდგომ ბოლო მოუღოს ეკონომიურ ბრძოლას. ეს არის ძირითადი დებულება დეტალური ჩამოყალიბება ამ დებულებისა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება რომ წარმოდგენილი იქმნას. შემდეგ სოც.-დემოკრ. გაზეთის მეთაური ამბობს, რომ სოც.-დემოკრატია გავლენას მოახდენს რომ გერმანიამ იხმაროს ყოველივე საშუალება, რათა მიაღწიოს მტკიცე ზავს და მშვიდობიანობა, რომელიც დამყარებული იქნება შეიარაღებულ ძალებზე, გერმანიის ხალხისთვის არ წარმოადგენს მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობიანობას. ყველა ხალხთა ინტერესი მოითხოვს, რომ ომი სამუდამოდ დასრულდეს. მაგრამ, სანამ სამშვიდობო მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებილა და სამხედრო მოქმედება არ შეჩერებულა გერმანიის ხალხის თავდაცვითი ძლიერება უნდა განვითარდეს მაქსიმუმამდე. საომარ დროის მდგომარეობიდან სამშვიდობო ცხოვრებაზე გადასვლა მეტად სახიფათო მომენტს წარმოადგენს როგორც სამხედრო ისე პსიხოლოგიურის მხრივ. უბედურება ეწევა იმ ერს, რომელიც დაჰყრის იარაღს 5 წუთით ადრე, ვინემ ეს საჭიროა. ნაციონალურ მოგერიებითი ძლიერების განვითარება მოითხოვს მხოლოდ, რომ სახელმწიფოს შინაურს ცხოვრებაში განმტკიცებულ იქმნას სრული წესიერება. ერი, რომელიც დიდი ხნის ბრძოლის დასასრულს მოუთმენლობას იჩენს და შინაურ ცხოვრების წესიერებას არღვევს, წააგავს იმ ავადმყოფს, რომელიც იხსნის შეხვეულ ჭრილობას და მით დროებით აყუჩებს ტკივილებს, მაგრამ საბოლოვოდ იგი ამით ხელს უწყობს ავადმყოფობის განვითარებას და სიკვდილის მოახლოვებასაც. გერმანიის სოც.-დემოკრატია მუდამ იმ აზრისა იყო, რომ საქმე მიზნის განხორციელებაა და არა ამ მიზნის მისაღწევი საშუალებანი. და გერმანიის დემოკრატიის მიზანი-კი სავსებით მიღწეული იქნება ახლო მომავალში მშვიდობიან რევოლიციის გზით.

პარიზი. ღვინობ. 5. სამხედრო ცნობა. რამდენიმე დღის განმავლობაში ფრანგ-ამერიკელთა შეერთებულ ძალთა მიერ მიტანილ იერიშებმა ვესლის და შამპანების ასპარეზზე აიძულეს გერმანელები (გაშვებულია) სიუიპისკენ აბონზედ (გაშვებულია) დაეხიათ. დასტოვეს პოზიციები (გაშვებულია) რომელიც ააგეს 4 წლის წინად. იბრძვიან 45 კილომეტრიან ასპარეზზე. ამჟამად განთავისუფლებულია ქალაქი რეიმსი, ბრიმონტის ფორტი, მორონ-ვილერი ფრანგების ხელშია. ნოჟან ლამესი მათ მიერ არის გარემოცული. მათი ავანგარდები გადავიდნენ არონვილ-ბურგონის-სერნე-ბეინ-ბეტონვილის ხაზს. აღმოსავლეთით ფრანგები მივიდნენ არანთან, ისინი გადავიდნენ სიუიპი ორონვილთან და არონთან ზოგ ადგილებში.

ბერლინი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში და კამბრესთან დღეს სიწყნარით ჩაიარა.

ბოინის ლაშქარი. წინა ღამეს ჩვენ დავტოვეთ გრევენკურტის და ბორევუარის შუა მდებარე საზურგო პოზიციები. ინგლისელები და ფრანგები განაგრძობდნენ თავის იერიშებს კატოლეს და სენ-კონტენის შუა. ბორევუარი და მონტ-ბრეჰონი მტრის ხელშია.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. შემენ-დედამთონ იტალიელთა მიერ განახლებული იერიშები მოვიგერიეთ. ბრემონტთან გავწმინდეთ ჩვენი პოზიციები. მტერი მთელი დღე მოგვდევენ უკან. მძიმე ბრძოლის შემდეგ, ჩვენი პოზიციები შევინარჩუნეთ.

ჰალვიცის ლაშქარი. არგონებსა და მაასის შუა მტერი განაგრძობდა მძლე შეტევას. პერმონტეს აღმოსავლეთით (?) ჩრდილოეთისკენ წაიწია.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი. ავსტრია-ჰუნგრეთში მებრძოლი ჩვენი ჯარები გამოვიყვანეთ და ახლა გზათა შესაკვეთებელ პუნქტებში იმყოფება. მათ აასრულეს თავისი დაპირებული და მრავალი საჩინო საქმეც ჩაიდინეს.

პალესტინის ასპარეზი.

გერმანელი ბატალიონები ოსმალებთან ერთად იხევენ დამასკოდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მათი გმირობა და მამაცობა მოწინააღმდეგის ძლიერმა ძალებმა დაჩრდილა.

სამინისტრო ახალი კაბინეტი გერმანიაში.

ბერლინი. ოქტომბრის 4. პრინცი მაქსი ბადენელი დაინიშნა რეიხსტაგის კანცლერად და გარეშე საქმეთა მინისტრად. იგი წარუდგენს რეიხსტაგს მთავრობის პროგრამას. რეიხსტაგის სხდომა დანიშნულია 5 ოქტომბრის 1 საათისათვის. სტატს-სეკრეტრად უპორტფელოდ დაინიშნენ რეიხსტაგის წევრები გრებერი და შეიდემანი. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარი ვოლრაფი თანამდებობიდან გადადგება. მის მოადგილედ იქნება ცენტრის რომელიმე დეპუტატი. მუშათა სახელმწიფო უწყების სათავეში, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო სამეურნეო უწყების გამოყოფით, იქნება 2 წარმომადგენელი მუშათა ცხოვრების გენერალურ კომისიისა. სტატს-სეკრეტარების თანაშემწეთა დანიშვნა ხალხის წარმომადგენელთაგან მალე იქნება. პიროვნებათა შესახებ მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა. პრუსიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობას იკისრებს რეიხსტაგის დეპუტატი ფიშბეკი.

დეპუტატთა პალატის სხდომა ვენაში

ვენა, ღვინობისთვის 5. დეპუტატთა პალატის სხდომა გაიხსნა უამრავ ხალხის თანადასწრებით. პრეზიდენტ გროსსმა გახსნა სხდომა და აღნიშნა, რომ ცენტრალური სახელმწიფონი მზათ არიან შეჰკრან ზავი. თუ ჩვენ ვილსონის უკანასკნელ სიტყვაში ვერ ვხედავთ ვერაფერს კეთილ-საიმედოს, ჩვენ ჩვენის მხრივ უნდა მივმართოთ ყოველი ძალ-ღონე, რათა მივაღწიოთ კეთილ ბოლოს. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ თავს მივანებებთ ყველა იმას, რაიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს და გვყოფს, მტკიცედ გარდავსწყვიტავთ შეუდრეკელად დავიცვათ ის მეგობრული მოვალეობანი, რომელნიც ჩვენ გვადევს გერმანეთის მიმართ, ვენდოთ ჩვენს ჯარებს და შევიკრიბნეთ საყვარელ იმპერატორის გარშემო. პრეზიდენტმა დაათავა სიტყვა მისალმებით იმპერატორისადმი „ჰოხით“ რომელსაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. მინისტრ პრეზიდენტმა ჰუსარეკმა დაწვრილებით დახატა სურათი სამხედრო, ეკონომიურ-პოლიტიკურ დებულებისა. ბულგარეთის მიერ დადებულ ზავმა შეჰქმნა უსაცილოდ სერიოზული მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთში. თუმცა მდგომარეობა არას გზით არ შეიძლება კრიტიკულად ჩაითვალოს. გერმანეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის მიერ მიღებული შესაფერი ზომები, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რომ წყნარად შევგებებოდით ბალკანეთის ამბებს... აქ ჩვენი ჯარები გერმანელებთან ერთად დგანან და კავშირს განამტკიცებენ, რომელიც არ დასუსტდება არაოდეს. (ჩეხების ყვირილი: განთავისუფლება გერმანეთისგან!) როგორც ომში ისე ზავის საქმეში არ დავშორდებით ჩვენ მეგობრებს (ჩეხთა უსიამოვნობის ხმები) ამ საშინელ განცდისას ამ ომიანობაში კაცობრიობამ უკან დაიხია სასულიერო და მატერიალურ ცხოვრების ყველა დარგებში. ყველაფერი ხდება აშკარად და ვფიქრობთ: ნუ თუ არ შეიძლება გამოინახოს გამოსავალი და საშუალება, რომ დავწყვიტოთ ის ძაფები უთანხმოებისა, რომელთაც გამოიწვევს მსოფლიო კონფლიქტს.

უცხოეთის ამბები

უკრაინაში

როგორც კიევიდან იუწყებიან ფინანსთა სამინისტროში შემოიტანეს პროექტი რკინის ფულის გამოშვების შესახებ.

გენ. გურკო კერენსკის შესახებ

გენერალ გურკომ განაცხადა, რომ კერენსკის უწოდებს მაწანწალას, რომელიც მოკავშირეთ უნდა შეიპყრონ. ერთად-ერთ სანუგეშო მიზნად მისთვის დარჩა მონარქია, რომლის აღსადგენადაც იბრძვის გურკოს ჯგუფი.

ლენინი და ამერიკელი მუშები

ადგილობრივ რადიო-სადგურმა დაიჭირა ცნობა: „პრავდა“მ გამოაქვეყნა ლენინის წერილი ამერიკელ მუშებისადმი, რომელშიაც იგი მოუწოდებს ამერიკელ მუშებს ამერიკულ იმპერიალიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ—საბრძოლველად.

საგაზეთო ვაჭრობის მუნიციპალიზაცია

ქ. კოსტრომაში საგაზეთო ვაჭრობას მუნიციპალიზაცია უყვეს და ქალაქის ცენტრ. აღმ. კომ. სააგიტაციო განყოფილების უფლებაში გადადის.

პროფ. ლისტი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის

გამოჩენილმა ბერლინელმა პროფესორმა ფრანც ფონ ლისტმა, რომელიც ევროპაში უდიდეს მეცნიერულ ავტორიტეტად არის მიღებული, ორი თვის წინად ცალკე ბროშურა გამოაქვეყნა ამ სათაურით: „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა.“ ამ ბროშურის დასკვნა თვით ლისტს სამს დებულებაში აქვს გამოთქმული.

1) საქართველო დღეს*) კიდეც სრულიად თვითმდგომი და დამოუკიდებელი, მაშასადამე სუვერენული სახელმწიფოა და მას საერთაშორისო უფლება აქვს მოითხოვოს, რომ დანარჩენ სახელმწიფოების მიერ ცნობილ იქმნას.

2) საქართველოს რესპუბლიკა de facto (ფაქტიურად) გერმანიის იმპერიისა და მისი მოკავშირეების მიერ აშკარად ცნობილია, როგორც ახალი წევრი სახელმწიფოთა ოჯახისა.

3) არავითარი უფლებრივი მოსაზრებანი არ არსებობს ფორმალური ცნობის წინააღმდეგ.**) ეს ცნობა არ იქნებოდა „მტრული აქტი“ რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც აშკარად და დღესასწაულებრივად აღიარა ერთა თვითგამორკვევისა, „გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსების უფლება“.

ბიჩერახოვის მოქმედება

დერბენტიდან ბაქოში ჩასული ჰაიდაროვის სიტყვებით ბაქოს დატოვების შემდეგ ბიჩერახოვი პეტროვსკისკენ გაემართა. ბიჩერახოვმა ქალაქში დელეგაცია შეგზავნა, რომლითაც პეტროვსკის ბოლშევიკებს სთხოვდა ქალაქი დაეტოვებინათ. მათ იუარეს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ბიჩერახოვმა აიღო პეტროვსკი. ლტოლვილი ბოლშევიკები გაემართნენ დერბენტში მაგრამ დერბენტზე მთიელნი იერიშებით მოდიოდნენ. მათ ძალა არა ჰქონდათ საკმაო და დერბენტის აღების იმედი თითქმის არა ჰქონდათ. მათ გაუხარდათ ბიჩერახოვის მისვლა და კაცები გაუგზავნეს რომ ისიც შეერთებოდა მათ. ბიჩერახოვი დასთანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით, რომ მათ ოსმალეთის ორიენტაციაზედ უარი ეთქვათ. მთიელთა პასუხი იყო: ჩვენ ერთა ორიენტაცია გვწამს; ვიყვნეთ ჩვენი სახლის ბატონ-პატრონი“.

ბიჩერახოვი გავიდა პეტროვსკიდან მიუახლოვდა დერბენტს და მთიელებთან ერთად იერიშით აიღო ძველი სიმაგრე. ქალაქში შესვლისას დანიშნა ქალაქის თავი (მაჰმადიანი) დააწესა პოლიცია და პეტროვსკში დაბრუნდა პეტროვსკში და დერბენტშიაც მან განაცხადა, რომ მას საქმე მხოლოდ ბოლშევიკებთან ექნება. ბოლო ხანებში მან სომხების წინააღმდეგაც გაილაშქრა. უკანასკნელად ასეთი ამბავი მოხდა: პეტროვსკის ნავთ-სადგურში შევიდა ბაქოდან გამოსული ორთქლმავალი. მგზავრებში ერივნენ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი, რომელნიც ბიჩერახოვის ბაქოში ყოფნისას ბაქოს დამცველთ შორის ჰმოქმედობდნენ.

როცა მგზავრები გადმოვიდნენ. ნაპირზე ბიჩერახოვი ცხენოსანი ნაწილით მივიდა დასათვალიერებლად. შენიშნული ჯარისკაცები მან გამოჰყო და ჰკითხა:—თქვენ ბაქოდან მოხვალთ?—ჰო, დასტოვეთ იგი სანამ ოსმალები აიღებდნენ?—დიახ? ბიჩერახოვმა დაიწყო რიგზე და თავის მეომრებს უბრძანა მათი დახვრეტა. ბრძანება დაუყონებლივ შესრულდა. უკანასკნელ ხანებში ბიჩერახოვი იკრებს გარშემო ძალებს განსაკუთრებით მოხალისეთაგან: რომელთა რიცხვიც საკმაოა. შეავსებს თუ არა თავის ძალას, ბიჩერახოვი ჩრდილო კავკასიისკენ დაიძვრება.

ფილარმონიული საზოგადოების სკოლა

მას შემდეგ, რაც ყოფილ რუსულ საიმპერატორო მუსიკალური სკოლა კონსერვატორიად გადაკეთდა, ქართულ ფილარმონიული საზოგადოების სასწავლებელს შეეძლო საშუალო სკოლის როლის შესრულება. ასეთი სკოლა კი დიდათ საჭიროა, რადგან ჩვენ ხალხს აკლია მუსიკალური კულტურა. მაგრამ საქმის ინიციატორებს სამწუხაროდ ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ. მართალია, შესაფერი ხელმძღვანელებიც მოიწვიეს, მოსწავლეთა რიცხვიც 250-დე ავიდა, მაგრამ ჯერ მეცადინეობა ვერ დაუწყვიათ, რადგან ძველი ბინა ვიწრო და უხერხულია, ხოლო ახალის შოვნა დიდად გაძნელდა.

ყველაზე მოხერხებული იქნებოდა საშუალო მუსიკალური სასწავლებლის მოსათავსებლად ყოფილი დედათა ინსტიტუტი, სადაც თოთხმეტი ოთახი სპეციალურად შეფარდებულია მუსიკის გაკვეთილებისთვის. მართალია, ინსტიტუტში ქალების მეშვიდე გიმნაზია გადავიდა, მაგრამ შენობა იმდენად ვრცელია, რომ თავისუფლად დაიტევს ორს სასწავლებელს.

ფილარმონიული საზოგადოების მეთაურებმა მთავრობის თავმჯდომარეს სთხოვეს, რომ ამ საქმის მოსაგვარებლად დანიშნოს განსაკუთრებული კომისია მცოდნე პირებისაგან, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რამდენად მოხერხებული იქნება ყოფილ ინსტიტუტში მუსიკალური სკოლის გადატანა. ბ. ჟორდანიამ დახმარება აღუთქვა.

ქართული ხელოვნების ინტერესი მოითხოვს, რომ ქართული ფილარმონიის სკოლა, რომელიც ასეთი შრომითა და სიყვარულით შეიქმნა, არ დაიხუროს. ქართველ ერს დღეს სჭირია არა მარტო კლასიკური, არამედ კიდევ უფრო ტეხნიკური, მხატვრული და მუსიკალური აღზრდა.

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს მიდის „მეფის საძლო“ რიმსკი-კორსაკოვის. მონაწილეობენ ქ-ნ. ვ. ლევიცკისა, ტანსა, მორონზოვისა, შვილი ბერეზინი, მოლჩანოვი, პალიაევი, დირიჟორობს ნ. ნ. ჩერეპნინი, ოთხშაბათს „რიგოლეტო“, ხუთშაბათს, „დუბროვსკი“.

„ლადია არგონავტოვ“ ახალი პროგრამის მერე დღე მეციკლის „სტატისტიკა“ შარჟი ე. ვიოტრევიჩის, „ინტიმიური სიმღერები“, „ისპანიური ტრაგიული სიმღერა“ ს. კოჰანსკი, „მკვდრეთით ამდგარი ბოჰემი“ ფრესკა ვ. ცედერბაუმის „Mael-Mael“ და სხვ. მანაწილეობენ მურალ-სოხანოვსკაია, აშხარუმოვა, მარტოვი, ლიუბომირსკი და სხვ.

„დრამა ტარტო“ დღეს წარმოდგენა „პრინცი სებასტიანე“, ვ ლ „უდანაშაულოთ დასჯილნი“, მონაწილეობს მთელი დასი. **დისპუტი „ქორწინება და სიყვარული“.** 6 ნოემბერს გაიმართა კონსერვატორიის დარბაზში დისპუტი „ქორწინება და თავისუფალი სიყვარული“. აურიცხველი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე. მოხსენება წაიკითხა პოეტმა სერგეი გოროდეცკიმ, სიტყვები თქვეს ვ. ზელინსკიმ, ი. ლევიმ, ქ. თარხანიშვილსამ, ტ. ტაბიძემ, გ. კრუჩიონიხმა და სხვებმა.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

---

*) ბროშურა აღნიშნულია ამა წლის 8 აგვისტოს თარიღით.

**) როგორც მკითხველმა იცის გერმანიამ ფორმალურადაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.